პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი
№ 197 (11503) | სამშაბათი, 25 აგვისტო, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

შვიდწლედის ადამიანები

გადაჭარგვით...

ბორჯომის მინერალურ წყალს უკვდავების წყალი შეარქვეს მადლიერმა მომხმარებლებმა. ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნილება ამ წყალზე. ეს ბევრს ავალებს ბორჯომის კალინინის სახელობის შუშის ქარხნის კოლექტივს, რომელიც მოწოდებულია ბოთლებით უზრუნველყოს ჩამომსხმელები.

მეშუშეებიც მოწოდების სიმაღლეზე დგანან. საწარმოს კოლექტივმა შვიდი თვის გეგმის გადამეტებით 335 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. ეს არის ნახევარლიტრიანი ბოთლი. ამ წარმატებაში წვლილი მიუძღვით ქარხნის მოწინავე მუშებს, რომლებიც აქ ათობით არიან. თავდადებული, ენერგიული შრომით სახელი გაითქვა შუშის მხარშავმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ივანე შუბითიძემ. ისეთი დღე არ არის, რომ მან დავალება 115 პროცენტით მაინც არ შეასრულოს. ივანე შუბითიძის პატრიოტული ვალდებულებაა შვიდწლედის დავალება ხუთ წელიწადში გაანაღდოს.

სურათზე: ივანე შუბითიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ვალდებულებათა ვადამდე შესრულებით შევხვდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს

მივცეთ სამშობლოს მეცხოველეობის მეჯი პროდუქტები!

მიმართვა

საქართველოს სსრ კოლმეურნეოგებისა და საგჭოთა მეურნეოგების მეცხოველეობის ფერმების ყველა მშრომელისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! სიხარულის დღეებია ჩვენს ქვეყანაში. მომბლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებით აღფრთოვანებულმა საბჭოთა ხალხმა ფართოდ გაიჩაღა თავდადებული მუშაობა ჩვენს ქვეყანაში კვების პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის, აქტიურად ჩაება ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში. ახლოვდება დიდი მოვლენა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში — ყოველი დღე გვაახლოებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმთან, რომელიც განიხილავს ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

დაწყებულ შვიდწლედში დიდი ამოცანები დგას საბჭოთა ადამიანების წინაშე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ბევრი რამ გაკეთდა და კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი შვიდწლედის პირველ წელს. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მიმდინარე წლის დასაწყისშივე იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დარგში. ჩვენს რაიონში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია მეცხოველეობა. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული ჩვენი ამოცანები შვიდწლედში ამ დარგის განვითარებისათვის. ჩვენი რაიონის მეცხოველეებმა ვალდებულება იკისრეს **1965 წელს 1958 წელთან შედარებით 9-ჯერ გაადიდონ რძის წარმოება, ხოლო ხორცისა — 14-ჯერ. ეს იმას ნიშნავს, რომ შვიდწლედის დამლევს ჩვენ უნდა ვაწარმოოთ 73.206 ცენტნერი ხორცი და 320.130 ცენტნერი რძე.** ასეთ ზრდას მივაღწევთ ყველა სახის პირუტყვისა და ფრინველის სულადობის გადიდების, პირუტყვის, ღორისა და ფრინველის საძოვრებსა და ბაგაზე საკოლმეურნეობათაშორისო გასუქების ფართოდ მოწყობის, ცხოველთა უხვი კვების, პროდუქტიული პირუტყვის მოვლა-შენახვის გაუმჯობესების გზით.

მიმდინარე წლის, შვიდწლედის პირველი წლის დამლევისათვის ჩვენ უნდა გვეწარმოებინა ოთხჯერ მეტი ხორცი და თითქმის ერთნახევრად მეტი რძე, ვიდრე გასულ წელს. მიმდინარე წლის შვიდი თვის მუშაობის შედეგები საშუალებას გვაძლევს დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ წარმატებით შევასრულებთ ჩვენს ვალდებულებებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ჩვენს რაიონში წარმოებულია 9.063 ცენტნერით მეტი რძე, თითქმის იმდენივე, რამდენიც მთელ 1958 წელს. თუ მთლიანად შარშან საშუალოდ ერთ საფუძრაჟე ძროხაზე მიღებულ იქნა 1.060 კილოგრამი რძე, წელს მარტო შვიდ თვეში მივიღეთ ამდენივე რძე თვითეულ ძროხაზე. გადავწყვიტეთ ჩვენი მაგდაპირველი ვალდებულება საშუალოდ 1.500 კილოგრამი რძის მოწველის შესახებ გავადიდოთ სულ მცირე 50 კილოგრამით თითო ძროხაზე.

ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობა მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის გაცილებით მეტია, ვიდრე გასული წლის ამავე თარიღისათვის. წლის პირველ ნახევარში თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე მიღებულია 35 კვერცხი, მაშინ როცა მთელ 1958 წელს კვერცხმდებლობა 31 ცალს შეადგენდა. თითო დედაღორზე უკვე მივიღეთ 7 გოჭზე მეტი, შარშან კი მთელ წელიწადს თითო დედაღორზე მიღებულ იქნა მხოლოდ 9 გოჭი.

უკვე დიდი ხანია საბჭოთა ადამიანების ტრადიცია გახდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დიდ მოვლენებს ხვდებოდნენ ახალი შრომითი წარმატებებით. სწორედ ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმთან დაკავშირებით განზრახული გვაქვს ვადამდე შევასრულოთ მიმდინარე წლის ჩვენი ვალდებულებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში. წელს მიზნად **დავიხახეთ დაწარმოოთ 58.100 ცენტნერი რძე, 22.036 ცენტნერი ხორცი, 1.240 ცენტნერი მატყლი. ერთხელ კიდევ აწონ-დაწონეს რა** თავიანთი შესაძლებლობანი, ჩვენი რაიონის მეცხოველეებმა გადაწყვიტეს შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი ხორცის დარგში 7 ნოემბრისათვის, რძისა — 1 დეკემბრისათვის და მატყლის დარგში — 1 ოქტომბრისათვის. **ვალდებულებათა შესრულების შემდეგ წლის ბოლომდე დარჩენილ დროში დამატებით მივცემთ სამშობლოს სულ მცირე 1.000 ცენტნერ ხორცსა და 1.750 ცენტნერ რძეს.**

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს ვალდებულებებს ვადამდე შევასრულებთ, **წლის დამლევისათვის ხორცისა და რძის წარმოება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიაღწევს 36 და 110 ცენტნერს, მაშინ როცა 1958 წელს ყოველ 100 ჰექტარზე რაიონში ვაწარმოეთ 8,8 ცენტნერი ხორცი და 60 ცენტნერი რძე.**

ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ აგრეთვე ვადამდე შევასრულოთ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა: ხორცისა — დიდი ოქტომბრის 42-ე წლისთავის დღისათვის, რძისა —10 სექტემბრისათვის, მატყლისა და კვერცხისა —1 ოქტომბრისათვის.

კიდევ უფრო მაღალია ცალკეულ მეურნეობათა ვალდებულებანი. მანგლისის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, რომელმაც 19 აგვისტოს შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმა, გადაწყვიტა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს 5.000 ცენტნერი რძისა და 800 ცენტნერი ხორცის წარმოების წლიური ვალდებულება. საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავად წლის ბოლომდე აწარმოონ სულ მცირე 500 ცენტნერი რძე და 200 ცენტნერი ხორცი ვალდებულებათა გადამეტებით.

სოფელ ასურეთის რუსთაველის სახელობის არტელის კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს ვადამდე, ოქტომბრის დღესასწაულისათვის შეასრულონ თავიანთი წლიური ვალდებულება ხორცისა და რძის წარმოების დარგში. ვალდებულებათა რეალიზაციის შედეგ წლის ბოლომდე დარჩენილ დროში ისინი დამატებით აწარმოებენ ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე 5 ცენტნერ ხორცსა და 6 ცენტნერ რძეს, რაც შეადგენს კიდევ 240 ცენტნერ ხორცსა და 300 ცენტნერ რძეს.

სოფელ ალგეთის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა გადაწყვიტეს 1.800-დან 2.000 კილოგრამამდე გაადიდონ საშუალოდ ერთი ძროხის წველადობა. ეს საშუალებას მისცემს მათ ნაკისრი ვალდებულებების 7 ნოემბრისათვის შესრულების შემდეგ დამატებით აწარმოონ წლის ბოლომდე 580 ცენტნერი რძე. გარდა ამისა, ისინი დამატებით აწარმოებენ 165 ცენტნერ ხორცს. სულ წლის ბოლოსათვის ალგეთელები 100 ჰექტარ სავარგულებზე ხორცის წარმოებას აიყვანენ 65 ცენტნერამდე, ხოლო რძის წარმოებას — 218 ცენტნერამდე.

იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ ჩვენი ვალდებულებანი და წლის ბოლომდე ვაწარმოოთ მეცხოველეობის პროდუქტების დამატებითი რაოდენობა, საჭიროა გავწიოთ დიდი მუშაობა. ყველა შესაძლებლობა გვაქვს უზრუნველვყოთ ჩვენს მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულება.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ საქმის წარმატებას ადამიანები წყვეტენ, რომ მთავარია ორგანიზატორული მუშაობა. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, კოლმეურნეობების კადრებით განმტკიცებისათვის განხორციელებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად, კოლმეურნეობებში სამუშაოდ წავიდნენ გამოცდილი სპეციალისტები, პარტიის რაიკომის წევრები შ. ბექაური და პ. გელაშვილი, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ სოფლების ჯორჯიაშვილისა და ბორბალოს გამსხვილებულ არტელებს.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ვაქცევთ მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. **წელს ვამზადებთ ერთიორად მეტ უხეშ საკვებს, ვიდრე შარშან, ხოლო სილოსს თვითეულ ძროხაზე ჩავდებთ 14 ტონას ნაცვლად შარშანდელი 3,7 ტონისა. გარდა ამისა, პირუტყვის საკვებად ფართოდ ვიყენებთ საკვებ ჭარხალს, კარტოფილსა და სხვა საკვებ კულტურებს.** განზრახული გვაქვს აგრეთვე მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ბალახების ნათესები, ფართოდ გამოვიყენოთ ნაწვერალზე ნათესი სიმინდი.

ხორცის წარმოებაში დიდმნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საძოვრებზე საკოლმეურნეობათაშორისო გასუქების მოწყობა. **ჩვენს რაიონში საზაფხულო საძოვრებზე ექვს საკოლმეურნეობათაშორისო ჯოგში სუქდება 1.250 სული პირუტყვი. პირუტყვის დღიური მატება წონაში საშუალოდ 1,1 კილოგრამს აღემატება.** პირუტყვის საძოვრებზე გასუქების სწორ ორგანიზაციაში დიდ როლს ასრულებს „ელექტრომწყემსები“, რომლებიც საშუალებას იძლევა რაციონალურად გამოვიყენოთ საძოვრები, მნიშვნელოვნად შევამციროთ შრომის დანახარჯები ხორცის წარმოებაზე და მისი თვითღირებულება.

პირველად წელს შეუდექით მცურავი ფრინველის მოშენებას ექვს კოლმეურნეობაში 8.000 ფრთის რაოდენობით. ჩვენში შექმნილია მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა 25.000 კვერცხმდებელი დედლით. მომავალ წელს მოვაწყობთ ფრინველის გასასუქებელ საკოლმეურნეობათაშორისო პუნქტს 100.000 ფრთა ფრინველისათვის. **თუ შარშან სულ 86 ცენტნერი ფრინველის ხორცი ვაწარმოეთ, წელს ვაწარმოებთ სულ მცირე 1.000 ცენტნერს.**

წელს გავასუქებთ 4.000 ღორს, რომელთა საშუალო ცოცხალი წონა 75 კილოგრამი იქნება, ნაცვლად შარშანდელი 1.290 სულისა, რომელთა საშუალო წონა 67 კილოგრამს შეადგენდა. რაიონის კოლმეურნეობებში სუქდება 11.000 სული ცხვარი — ბევრად მეტი, ვიდრე შარშან.

კვერცხის წარმოებას შარშანდელი 338.000 ცალიდან წელს ვზრდით 910.000 ცალამდე.

ფართოდ ვიყენებთ ერთჯერად დედაღორებს. გარდა ამისა, ეწყობა მეღორეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა 500 დედაღორისათვის. ყოველივე ეს, მეღორეობის დარგში სხვა ღონისძიებებთან ერთად, შესაძლებლობას გვაძლევს **ღორის ხორცის წარმოება 1958 წლის 743 ცენტნერიდან წელს გავადიდოთ 5.100 ცენტნერამდე.**

რაიონისათვის სიახლეს წარმოადგენს ხორცის წარმოებაში ისეთი რეზერვის გამოყენება, როგორიც არის შინაური კურდღლის მოშენება. ამ საქმის ინიციატორებად გამოვიდნენ სკოლა-კოლმეურნეობები, რომელთა მეკურდღლეობის ფერმებში 2.000-ზე მეტი შინაური კურდღელია.

ყველა ამ რეზერვის გამოყენება, პირუტყვის მოვლისა და შენახვის საერთო გაუმჯობესებასთან, დედაპირუტყვის სულადობის ბერწიანობისა და პირუტყვის სიკვდილიანობის მაქსიმალურ შემცირებასთან ერთად, საშუალებას მოგვცემს წარმატებით შევასრულოთ დასახული ამოცანები.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ყოველივე ის, რასაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად ვახორციელებთ, მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ამოცანა ის არის, რომ იმ დიდი რეზერვების პირობებში, რომლებიც ჩვენ გვაქვს, არ შევანელოთ მუშაობაში აღებული ტემპები.

ძვირფასო ამხანაგებო! მოგიწოდებთ ერთხელ კიდევ ჯეროვნად აწონ-დაწონოთ თქვენი შესაძლებლობანი, გამოავლინოთ და აამოქმედოთ ახალი რეზერვები, სამშობლო გაახაროთ მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებით!

რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირის სახელით: **ა. ბექაური**— პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი, **ი. ჩომახაშვილი** — თეთრი წყაროს რაიაღმასკომის თავმჯდომარე, **ვ. თეთრუაშვილი** — კომკავშირის თეთრი წყაროს რაიკომის მდივანი, **დ. კოტეტიშვილი** — სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსი, **შ. ბექაური** — სოფელ ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **გ. ბელიაევი** — დაბა თეთრი წყაროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **პ. გელაშვილი** — სოფელ ბორბალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **კ. ივანოვი** — სოფელ ალექსეევკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ს. ლაშხი** — სოფელ ასურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ა. ბრეჩკინი** — სოფელ ალგეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ბ. ქვლივიძე** — მანგლისის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, **ნ. ნასარიძე** — რაიონულ გაზეთ „საკოლმეურნეო გზის“ რედაქტორი, **ა. ტოკუზისი** — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საძოვრებზე საკოლმეურნეობათაშორისო გასუქების პუნქტისგამგე, **ბ. დავრიშიანი**—სოფელ დურნუკის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე, **ა. ბარკუზაშვილი**—სოფელ არხოტის კოლმეურნეობის მწველავი, **ტ. ფედოსეევა** — სოფელ ალგეთის კოლმეურნეობის მწველავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **ა. ბაციტაძე** — მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის საბჭოს თავმჯდომარე.

სიმდიდრის წყარო

ბათუმი. (საკ. კორ.). ქალაქ ბათუმის აღმოსავლეთით, მდინარე ყოროლისთავის ორივე ნაპირზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც იგი ზღვისპირა დაბლობში მოედინება, გაშენებულია ლამაზი საკოლმეურნეო სოფელი — წინსვლა. ასობით ჰექტარზეა გადაჭიმული ამ სოფლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის, ციტრუსოვანი, ტუნგოს და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული და ერთწლიანი კულტურების პლანტაციები, ბაღები და ნათესები.

მარტო ჩაით მიღებულმა შემოსავალმა შარშან 4 მილიონ 300 ათასი მანეთი შეადგინა. სულ კი ფულადმა შემოსავალმა 5 მილიონ 560 ათას მანეთს გადააჭარბა. ჩაი კოლმეურნეობის სიმდიდრის წყაროა. შარშან კოლმეურნეობამ მრეწველობას ჩააბარა 400 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. წელს ჩაის ფაბრიკას უკვე ჩაბარდა 346.135 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 80 პროცენტს შეადგენს. კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ გეგმა 10 სექტემბრისათვის გაანაღდონ, ხოლო ვალდებულება, რომელიც დამატებით 30 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს, 25 სექტემბრისათვის შეასრულონ.



ბეგეჰკორის რაიონი. სოფელ გურძემის მეთვრამეტე პარტყრობის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ბ. სიორდია. პარტორგანიზაციის მდივანი მ. ბალათურია, აგრონომი ს. კურდღელია) გეგმით უნდა მოეკრიფა 65 ტონა ჩაის ფოთოლი, უკვე მოკრიფა 70 ტონა და კიდევ მოკრეფს 20 ტონას. სოფელ ლეხაინდრაოს კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. ახალაია, პარტორგანიზაციის მდივანი კ. დანელია, აგრონომი ვ. კვანტალიანი) გეგმით გათვალისწინებული 366 ტონის ნაცვლად მოკრიფა 380 ტონა, ვალდებულების ანგარიშში მოკრეფილი აქვს 14 ტონა, კიდევ მოკრეფს 80 ტონაზე მეტს. ვედიდკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ი. წოდეკაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ს. რურუა, აგრონომი ი. ჭაავა) 60 ტონის ნაცვლად მოკრიფა 68 ტონა, დამატებით მოკრეფს 20 ტონას.

პირობას ასრულებენ

წალენჯიხის რაიონი. სოფელ ლიის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. კვარაცხელია, პარტორგანიზაციის მდივანი კ. კუხალეიშვილი, აგრონომი ი. სამუშია) 408 ტონის ნაცვლად მოკრიფა 450 ტონა ჩაის ფოთოლი. დამატებით მოკრეფს 60 ტონას. სოფელ ფახულანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. მიქავა, პარტორგანიზაციის მდივანი მ. შონია, აგრონომი ა. აკობია) გეგმით გათვალისწინებული 252 ტონის ნაცვლად მოკრიფა 274 ტონა. ახალი ვალდებულებით კიდევ მოკრეფს 45 ტონა ჩაის ფოთოლს. დაბა წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ჭანტურია. პარტორგანიზაციის მდივანი ნ. კვარაცხელია, აგრონომი რ. შონია) მოკრიფა 285 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 281 ტონისა. დამატებით მოკრეფს 35 ტონას. სოფელ ჯგალის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. კვარაცხელია, პარტორგანიზაციის მდივანი ლ. კვარაცხელია, აგრონომი ე. კვარაცხელია) მოკრიფეს 202 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 196 ტონისა. კიდევ მოკრეფენ 40 ტონას.

ვალდებულება გაანაღდეს

ტყიბულის რაიონის მეჩაიეებმა 21 აგვისტოსათვის შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება—მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 2.350,3 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 310,3 ტონა. მოკრეფილი ჩაის ნედლეულიდან 82 პროცენტი პირველი ხარისხისაა. რაიონში ჩაის ფოთლის კრეფა წარმატებით გრძელდება.

ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმის შესრულება

1959 წლის 20 აგვისტოსათვის

ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმა 20 აგვისტოსათვის მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 20,8 პროცენტით. 1958 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბოსტნეულის დამზადებამ შეადგინა 167,2 პროცენტი.	
ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმის შესრულება 1959 წლის 20 აგვისტოსათვის დამამზადებელ ორგანიზაციებსა და რაიონებში ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით (პროცენტობით):	
საქართველოს კონსერვბრესტი	**31,2**
გურჯაანის	32,3
ლაგოდეხის	53,3
წყალტუბოს	20,4
სამტრედიის	52,9
წულუკიძის	17,3
ცხინვალი	**9,1**
ბორჯომის	14,4
თეთრი წყაროს	7,5
ყვარლის	18,7
სიღნაღის	23,1
დუშეთის	4,0
კასპის	3,4
საგარეჯოს	4,9
ბოლნისის	4,3
ხაშურის	6,0
გორის	4,2
ქარელის	2,0
საჩხერის	13,4
ადიგენის	6,4
ახალქალაქის	0,0
ახალციხის	7,5
თელავის	8,3
ახმეტის	0,4
დმანისის	0,0
ვანის	1,2
აბაშის	27,3
აფხაზეთის ასსრ	27,7
აჭარის ასსრ	59,0
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი	2,1
თბილისის ხილისა და ბოსტნეულის ვაჭრობა	26,9
ქალაქი თბილისი—სამგორი	33,5
მარნეულის	23,4
მცხეთის	11,0
წალკის	0,0

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

საშემოდგომო ხორბლის თესვა

გორი. (საკ. კორ.). მდინარე ლიახვის მარჯვენა მხარეს უმეტესად ლამიანი მიწებია, რომლებსაც თავისებური დამუშავება და მოვლა სჭირდება. ასეთ მიწებში საშემოდგომო ხორბლის თესვა ყოველთვის აგვისტოს შუა რიცხვებიდან იწყება. ანეულად მოხნულ მიწას ჯერ რწყავენ, შემდეგ აოშავენ და თესავენ.

სოფელ ზირბითის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა მომზადებული შეხვდა საშემოდგომო თესვას. ზირბითელმა კოლმეურნეებმა ლამიან მიწებზე დაიწყეს თესვა. მემინდვრეობის მეშვიდე. ბრიგადამ, რომელსაც კ. პაპიაშვილი ხელმძღვანელობს, პირველ დღესვე დათესა 25 ჰექტარი, სულ კოლმეურნეობაში დათესილია 80-მდე ჰექტარი.

საშემოდგომო თესვას შეუდგა აგრეთვე ვარიახის გოგებაშვილის სახელობის კოლმეურნეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჯიბრეგაში ჩაბმულ რაიონებში

23 აგვისტო

მახარაძე. რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 175 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 23.450 ტონა ჩაი, ანუ შარშანდელზე 1.069 ტონით მეტი.

ქობულეთი. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს 123 ტონა ჩაის ფოთოლი, სულ სეზონის დაწყებიდან 14.862 ტონა, რაც შარშანდელზე 324 ტონით მეტია.

ზუგდიდი. რაიონში მოკრიფეს 80 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 15.315 ტონა ჩაის ნედლეული, ანუ შარშანდელზე 1.386 ტონით მეტი.

გალი. გალელმა მეჩაიეებმა მოკრიფეს 32 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, სულ სეზონის დაწყებიდან კი 10.363 ტონა, რაც შარშანდელზე 903,5 ტონით მეტია.

საბერძნეთის ახალგაზრდა პარლამენტარები საქართველოში

23 აგვისტოს მოსკოვიდან თბილისს ჩამოვიდა საბერძნეთის ახალგაზრდა პარლამენტარების დელეგაცია ათანასიოს კაკოიანისის მეთაურობით. იგი საბჭოთა კავშირში სტუმრად არის საბჭოთა კავშირის ახალგაზრდათა ორგანიზაციების კომიტეტის მოწვევით.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ე. შევარდნაძე, თ. მენთეშაშვილი, საქართველოს ახალგაზრდათა ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კიტია, რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

ჩამოსვლის დღეს ბერძენმა პარლამენტარებმა გაისეირნეს ქალაქში, დათვალიერეს ყოფილი ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბა. საღამოს ისინი ეწვივნენ საქართველოს ახალგაზრდათა ორგანიზაციების კომიტეტს.

ბერძენი სტუმრები შეხვდნენ ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებს.

24 აგვისტოს დილით საბერძნეთის ახალგაზრდა პარლამენტარები ეწვივნენ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს.

ბერძენი პარლამენტარები ამ დღეს მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ.

დარბაზობის დამსწრეთა შორის იყვნენ ა. კაკოიანისი, ნ. ინძესი, ა. კალიდოპულოსი, ნ. კანტაროსპორისი, დ. კატემლიდისი, ვ. შოაკაულასი, ხ. ბუსიოსი.

დელეგაციის წევრთა თხოვნით გ. ძოწენიძემ გააცნო მათ საქართველოს წარსული და აწმყო, მისი ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების პერსპექტივები შვიდწლედში, უპასუხა ბევრ კითხვაზე.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. მენთეშაშვილი, საქართველოს ახალგაზრდათა ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კიტია.

დღის მეორე ნახევარში საბერძნეთის ახალგაზრდა პარლამენტარები იყვნენ რუსთაველი, სადაც გაეცნენ ნ. ბ. სტალინის სახელობის ალუმინიუმის მეტალურგიულ ქარხანას, თბილისში დაბრუნებისას ისინი ეწვივნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, სადაც ესაუბრნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს რ. დვალს.

24 აგვისტოს საღამოს ბერძენი სტუმრები გაემგზავრნენ სოხუმში.

(საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუწოდებენ რა კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებისაკენ, პარტიულმა ორგანიზაციებმა, პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა ნათელი და გასაგები ფორმით უნდა განმარტონ, თუ რა არის კომუნიზმი, რა დიდი სიკეთე მოაქვს მას ადამიანებისათვის, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი და განავითარონ შრომის კომუნისტური ფორმები. პარტიის ორგანიზატორულმა და ალმაზრდელობითმა მოღვაწეობამ, მისი იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალებამ ხელი უნდა შეუწყოს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრას. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველმა მშრომელმა უკეთ გამოიყენოს მანქანა, ჩარხი, აგრეგატი, ტრაქტორი, კომბაინი და შრომის მოწინავე მეთოდები.

(სკკპ XXI ყრილობის რეზოლუციიდან).

ავამაღლოთ პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის იდეური დონე, უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ ცხოვრებას!

რესპუბლიკური თათბირი პარტიული განათლებისა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მასალების პროპაგანდამ და შესწავლამ გაამდიდრა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების იდეური ცხოვრება, გამოიწვია მასების ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად და ყოველდღიურად სწავლობენ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. ამაღლდა პარტიული განათლების როლი კადრების მარქსისტულ-ლენინურ გამოწრთობაში. უფრო ფართოდ გაიშალა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებსა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანებს მიეძღვნა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების, პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების გამგეების თათბირი გაზეთების რედაქტორებთან და იდეოლოგიურ დაწესებულებათა მუშაკებთან ერთად. თათბირი გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. მოხსენება — 1958-1959 წლის შედეგები პარტიული განათლების სისტემაში და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები ახალ სასწავლო წელს — გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ი. დოლიძემ.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობენ რა სკკპ XX და XXI ყრილობებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მისი იდეურ-თეორიული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა და პარტიის XXI ყრილობის სხვა მასალების შესწავლამ გააქტიურა პარტიული განათლების ქსელის საქმიანობა, გაზარდა კომუნისტებისა და უპარტიოების ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი, განამტკიცა პოლიტიკური სწავლების კავშირი პრაქტიკასთან. ყრილობის მასალები მძლავრი საშუალებაა მშრომელთა მობილიზაციისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

იმ მიზნით, რომ დახმარება გაუწიონ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს პარტიის XXI ყრილობის მასალებისა და გადაწყვეტილებების პროპაგანდასა და შესწავლაში, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაგზავნა ცენტრალური კომიტეტის წევრთა, ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკთა, ლექტორთა დიდი ჯგუფი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ შეამოწმა, თუ როგორ არის მოწყობილი ყრილობის მასალების შესწავლა კომუნისტების მიერ პოლიტიკური განათლების ქსელში, როგორ აცნობენ ფართო მასებს ყრილობის გადაწყვეტილებებს ზუგდიდის, წალენჯიხის, დმანისის, წითელწყაროს, ბოლნისის, მარნეულისა და ზოგიერთი სხვა რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში.

შემოწმებამ გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებანი. სემინარების, სკოლებისა და წრეების ყველა ხელმძღვანელი როდი იყენებდა სკკპ XXI ყრილობის მასალების შესწავლის სანიმუშო გეგმას. ეს იწვევდა იმას, რომ ყრილობაზე წამოყენებული ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი თეორიული დებულება უგულებელყოფილი იყო. მთელ რიგ წრეებსა და სკოლებში 8-10 მეცადინეობის ნაცვლად მოეწყო მხოლოდ 4-5.

მიმდინარე წლის მარტში საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე, რომელმაც შეაჯამა რესპუბლიკაში სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის პირველი შედეგები.

ითვალისწინებენ რა კომუნისტებისა და უპარტიოების დიდ ინტერესს კომუნისტური მშენებლობის თეორიული პრობლემებისა და პრაქტიკული ამოცანები ს ა დ მ ი, რომლებიც სკკპ XXI ყრილობამ დასახა, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ყრილობის მასალების შესახებ მოაწყეს 1.200 თეორიული კონფერენცია — გაცილებით მეტი, ვიდრე წინა წლებში. თბილისის პარტორგანიზაციებში გაიმართა 322 ასეთი კონფერენცია, მაშინ როცა 1957-1958 სასწავლო წელს ასეთი კონფერენცია 52 იყო.

მაღალ იდეურ დონეზე მოეწყო თეორიული კონფერენცია თემაზე „შვიდწლიანი გეგმა სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის ახალი ეტაპია“, რომელიც პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო. კონფერენციას დაესწრო 500-ზე მეტი კაცი. მომხსენებელთა შორის იყო საქალაქო კომიტეტის ყველა მდივანი. დიდი აქტივობით მიმდინარეობდა თეორიული კონფერენციები სოხუმში, ბათუმში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლების ძირითადი მეთოდია დამოუკიდებლად მუშაობა წიგნზე. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს ამ საქმეში. პარტორგანიზაციების დიდმა ნაწილმა სწორად გაიგო პოლიტიკური თვითგანათლების ხელმძღვანელობის ამოცანები, გამოიყენა იმ მუშაკებისათვის დახმარების გაწევის უფრო ეფექტიანი ფორმები, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ პარტიის თეორიასა და ისტორიას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც კარგად არის მოწყობილი ლექციური პროპაგანდა, საცნობარო-საბიბლიოთეკო მუშაობა, სისტემატურად და მაღალ იდეურ დონეზე ეწყობა თეორიული კონფერენციები, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები და თეორიული გასაუბრება, კომუნისტების პოლიტიკური თვითგანათლება ჯეროვან სიმაღლეზე დგას.

გასულ სასწავლო წელს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას დამოუკიდებლად სწავლობდა, აგრეთვე თეორიულ სემინარებში მონაწილეობდა 72.590 კომუნისტი. მათს სწავლას ხელმძღვანელობდა 3.177 კონსულტანტი და თეორიულ სემინართა 1.394 ხელმძღვანელი.

თუ კონსულტაციები კარგად არ არის ორგანიზებული, ვერ მივაღწევთ წარმატებას დამოუკიდებელ სწავლაში. ამავე დროს მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები საკმარისად არ მუშაობდნენ კონსულტანტებთან, არ უწევდნენ მათ ჯეროვან დახმარებას, სუსტად განაზოგადებდნენ საუკეთესოთა გამოცდილებას. ზოგიერთ შემთხვევაში პარტიული ორგანიზაციები უყურადღებოდ ტოვებენ იმას, რომ კომუნისტებმა, რომლებიც დამოუკიდებლად უნდა სწავლობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმს, სინამდვილეში თავი დაანებეს სწავლას.

ახალ სასწავლო წელს საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ დამოუკიდებელი სწავლების კოლექტიური, სემინარული ფორმები, რომლებმაც გაამართლეს თავიანთი დანიშნულება, მოვაწყოთ მეტი ლექციები მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად. პარტორგანიზაციებმა უნდა წაახალისონ მარქსიზმ-ლენინიზმის ცალკეული პრობლემების შესწავლა თეორიულ სემინარებზე მსმენელთა საქმიანობის ხასიათისა და პროფესიული ინტერესების შესაბამისად.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ კადრების ეკონომიურ განათლებას. გასულ სასწავლო წელს მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიურ თეორიასა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის კონკრეტულ ეკონომიკას სწავლობდა 31 ათასზე მეტი კომუნისტი. სოციალისტური საზოგადოების განვითარების ეკონომიური კანონების დაუფლება ხელს უწყობს მათ უკეთ უხელმძღვანელონ მეურნეობას, მაქსიმალურად გამოიყენონ წარმოების რეზერვები, უფრო სწრაფად დანერგონ მოწინავე ტექნიკა და პროგრესული ტექნოლოგია.

თბილისის ლენინის რაიონის ბევრი საწარმოს, ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი და მარტენის საამქროების კომუნისტთა ნაყოფიერმა ეკონომიურმა სწავლამ საშუალება მისცა მათ მოეპოვებინათ მნიშვნელოვანი საწარმოო წარმატებანი.

კადრების ეკონომიური ჰორიზონტის გაფართოებას ხელი შეუწყო ეკონომიურმა კონფერენციებმა, რომლებშიც ფართოდ მონაწილეობენ სპეციალისტები, მეცნიერები, წარმოების ნოვატორები. ეკონომიურ განათლებას საფუძვლად უნდა დაედოს მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიური თეორიის, წარმოების სოციალისტური წესის ეკონომიური კანონების, საბჭოთა ხალხის იმ ძირითადი ამოცანების ღრმა შესწავლა, რომლებიც დასახეს სკკპ XXI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა.

რესპუბლიკის პარტიული განათლების სისტემაში სამართლიანად იკავებს სულ უფრო დიდ ადგილს კომუნისტური პარტიის გმირული ისტორიის შესწავლა, რომლის ცოდნა სავალდებულოა თვითეული კომუნისტისათვის. სკკპ ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს გამოსვლა, რომელიც სასწავლო წლის დამდეგისათვის გამოიცემა ქართულ ენაზე, სერიოზულ დახმარებას გაუწევს ჩვენს კადრებს, მომხსენებელმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა ყოველმხრივ და ღრმად შევისწავლოთ პარტიის მოღვაწეობა დიდი სამამულო ომის პერიოდში და ომისშემდგომ წლებში, განსაკუთრებით სკკპ XIX ყრილობის შემდეგ.

თათბირზე აღინიშნა, რომ ლექციურ პროპაგანდას გასულ სასწავლო წელს უფრო ფართო მასშტაბი ჰქონდა. გაუმჯობესდა მისი იდეური შინაარსი, გადიდდა მიზანსწრაფულობა. პარტიული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების ძალებით წაკითხულია 32 ათასზე მეტი ლექცია სკკპ XXI ყრილობის მასალებზე, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, საერთაშორისო მდგომარეობის სხვადასხვა საკითხზე, ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის შვიდწლიანი გეგმის ამოცანების შესახებ და სხვ.

ამასთანავე თათბირზე აღინიშნა, რომ მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ლექციები ჯერ კიდევ ეწყობა დაბალ იდეურ დონეზე, ლექციები მოწყვეტილია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს. ნაკლებად ეწევა პროპაგანდა სამეცნიერო-ათეისტურ ცოდნას.

კომუნისტების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის მთელ მუშაობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკური განათლების სახლებსა და კაბინეტებს. თათბირზე აღინიშნა, რომ საჭიროა გააქტიურდეს მათი მუშაობა პროპაგანდისტებისათვის დახმარების გაწევაში, მოწინავე გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებაში, პარტიის თეორიისა და ისტორიის, კომუნისტური მშენებლობისა და კომუნისტური აღზრდის საკითხებზე ლექციების მოწყობაში.

ამ უკანასკნელ ხანს პირველადი პარტიული ორგანიზაციები და კომიტეტები უფრო სერიოზულად ეკიდებიან პროპაგანდისტთა შერჩევას. ამას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ საქართველოს 13.332 პროპაგანდისტ ი დან 11.213-ს უმაღლესი განათლება აქვს. სკოლებისა და წრეების ხელმძღვანელებს მეთოდური ოსტატობის ამაღლებაში მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ პოლიტიკური განათლების სახლებთან და კაბინეტებთან შექმნილი მეთოდური საბჭოები. პროპაგანდისტული მუშაობის მოწინავე გამოცდილების გავრცელების უკეთ მოსაწყობად ბათუმის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში სისტემატურად იმართება „პროპაგანდისტის დღე“. პარტიის 26 კომისრის რაიკომს საპატიო დაფაზე შეაქვს საუკეთესო პროპაგანდისტთა გვარები.

ემზადებიან რა ახალი სასწავლო წლისათვის, პარტიულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს პროპაგანდისტების გადამზადება. ამ მიზნით თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ორ ნაკადად ეწყობა ოერკვირიანი კურსები. სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა მოაწყოს ცალკე თვითეული კატეგორიის პროპაგანდისტებისათვის მუდმივ მოქმედი სემინარების ერთი-ორი მეცადინეობა.

მომხსენებელმა და თათბირის მონაწილეებმა დაწვრილებით ილაპარაკეს, თუ რა ამოცანები აქვს პარტიულ განათლებას ახალ სასწავლო წელს, რომელიც მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს იწყება. პოლიტიკურმა განათლებამ უნდა დარაზმოს მასები კომუნისტური იდეალების, შვიდწლედის დავალებების განხორციელებისათვის საბრძოლველად, ხელი შეუწყოს საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური შეგნების, შრომითი ენთუზიაზმისა და საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლებას. პოლიტიკური განათლების ძირითადი შინაარსი მომავალ წელს უნდა გახდეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა, სკკპ ისტორიისა და თეორიის, თეორიული პრობლემებისა და იმ პრაქტიკული ამოცანების ღრმად შესწავლა, რომლებიც დასახეს პარტიის XXI ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ მომავალი წლისათვის პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო ფართოდ ჩავაბათ პოლიტსკოლებში, წრეებში, სემინარებში, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში სწავლისათვის უპარტიო აქტივისტები, უწინარეს ყოვლისა კომკავშირელები, წარმოების მოწინავეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

მომავალ სასწავლო წელს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარებისა და წრეების ქსელის გაფართოებასთან ერთად შეიქმნება ათეიზმის სემინარები და წრეები, აგრეთვე სახალხოდემოკრატიული ქვეყნების სოციალისტური მშენებლობისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შემსწავლელი სემინარები და წრეები. პოლიტიკური განათლების ყველა ფორმაში საჭიროა სერიოზული ყურადღება დავუთმოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და მასალების ღრმად შესწავლას და გავაცნოთ მსმენელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის მასალები სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

მომხსენებელმა დაახასიათა პრესის, რადიოს, და ტელევიზიის დიდმნიშვნელოვანი როლი პოლიტიკურ განათლებაში და ის, თუ რა ამოცანები ეკისრებათ მათ იმაში, რომ დახმარება გაუწიონ პროპაგანდისტებსა და მსმენელებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების, სკკპ თეორიისა და ისტორიის შესწავლაში, პარტიული დოკუმენტებისა და თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების თეორიულ გააზრებაში.

თათბირმა მოისმინა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. **მ. გოგიჩაიშვილის** მოხსენება, თუ რა მუშაობას ეწევიან საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, რათა განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილ ებ „სტალინოს ოლქის მშრომელებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შეიცავს იდეურ-აღმზრდელობითი და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა მთელ პროგრამას. მიმდინარე წლის აპრილსა და მაისში მოეწყო პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები, აგრეთვე პირველადი პარტორგანიზაციების კრებები, რომლებმაც დასახეს ჩვენს რესპუბლიკაში ამ დადგენილების განხორციელების კონკრეტული გზები. გაიმართა აგიტატორთა ზონალური თათბირები, რომლებზეც მოხსენებები გააკეთეს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველმა მდივნებმა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ტყიბულის მეშახტეებში მასობრივ-პოლიტიკური მ უ შ ა ო ბ ი ს მდგომარეობის საკითხი. გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით მოეწყო პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებისა და პოლიტიკური განათლების სახლების და კაბინეტების ხელმძღვანელების ხუთდღიანი სემინარი-თათბირი.

განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო მასობრივ-პოლიტიკური, სააგიტაციო და იდეურ აღმზრდელობითი მუშაობის გაცხოველებას, რამაც უზრუნველყო მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ახალი აღმავლობა, გავლენა მოახდინა საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე. სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა უზრუნველყოფდა სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებების, შვიდწლედის ამოცანების განმარტებას, შრომის ნაყოფიერების გადიდების ქსელში. მთავრდება წრეების, ვე ტექნოლოგიის დანერგვას, მასობრივი რაციონალიზატორული მოძრაობის ფართოდ განვითარებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

მომხსენებელმა მოიყვანა რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის მთელი რიგი მკაფიო მაგალითები. მაგალითად, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა ითავა პატრიოტული წამოწყება — ეკონომიის რესპუბლიკური ფონდის შექმნა და წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას — შეიტანოს ამ ფონდში 1959 წლის 7 მილიონი მანეთი. რესპუბლიკის ბევრმა მოწინავე მუშამ მიბაძა ვალენტინა გაგანოვას. ჩამორჩენილ ბრიგადაში სამუშაოდ გადავიდა ტყიბულის წარჩინებული მეშახტე შოთა კუბლაშვილი. რომელიც ეჯიბრება ნიკოლოზ მამაიხ. გორის ბამბეულის კომბინატის ბრიგადირებმა ელენე გეგელაშვილმა და დუშა ხაჩიძემ მიიღეს წინათ ჩამორჩენილი ბრიგადები და მოკლე ვადაში მიაღწიეს იმას, რომ ეს ბრიგადები გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებებს. რესპუბლიკის ბევრ საბჭოთა მეურნეობაში სააგიტაციო მუშაობა ჯერ კიდევ მოწყვეტილია მათს სამეურნეო საქმიანობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობებში მასობრივ-პოლიტიკ უ რ ი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

თათბირზე აღინიშნა, რომ სააგიტაციო-პოლიტიკური მუშაობის იდეური შინაარსის ასამაღლებლად ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაკეთებულა. ჩამორჩება პოლიტიკურ-მასობრივი მ უ შ ა ო ბ ა მოსახლეობაში. პარტიული ორგანიზაციები არ ქმნიან მუდმივ მოქმედ აგიტპუნქტებს. თვალსაჩინო აგიტაციაში სუსტად იყენებენ ადგილობრივ მასალებს. პარტიის ზოგიერთი რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათანადოდ არ ზრუნავენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ისეთი უმნიშვნელოვანესი საშუალების სწორი გამოყენებისათვის, როგორიც არის რესპუბლიკაში არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განშტოებული ქსელი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა იდეოლოგიური მუშაობის ყველა უბნისადმი, სკკპ XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების მძლავრი საშუალება გახადონ იგი. პროპაგანდისტულ და სააგიტაციო მუშაობაში მთავარია მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან. იგი მოწოდებულია ხელს უწყობდეს იმას, რომ გაშუქდეს უღრმესი თეორიული და პრაქტიკული აზრი იმ ღონისძიებებისა, რომლებიც პარტიამ უკანასკნელ წლებში განახორციელა კომუნიზმის მშენებლობის დასაჩქარებლად. ფართო პოპულარიზაციას უწევდეს ახლის, კომუნისტურის ყლორტებს, ავითარებდეს მორალურ სტიმულებს საზოგადოების საკეთილდღეოდ შრომისათვის, ზრდიდეს საბჭოთა ადამიანებს კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის, კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **მ. გაფრინდაშვილმა** ილაპარაკა იმაზე, რომ მნიშვნელოვნად გაცხოველდა იდეოლოგიური მუშაობა რესპუბლიკის დედაქალაქის პარტორგანიზაციებში, რაც მიღწეულია სკკპ XXI ყრილობის მასალებისა და გადაწყვეტილებების ახსნა-განმარტების საფუძველზე. ფართო გაქანება მიეცა ლექციურ პროპაგანდას. პარტიული კომიტეტებისა და საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორები თბილისში ყოველთვიურად კ ი თ ხ უ ლ ო ბ ენ 1.500-მდე ლექციას. ქალაქში გაჩაღდა მზადება ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების ქსელში. მთავრდება წრეების, სკოლებისა და სემინარებისათვის პროპაგანდისტების შერჩევა. 2 სექტემბრიდან მუშაობას შეუდგება პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსები. ამ დღეებში მეცადინეობა დაიწყება მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში.

ამასთანავე ამხ. გაფრინდაშვილი აღნიშნავს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის კომუნისტების პოლიტიკურ სწავლაში. იგი ამბობს, რომ ზოგიერთი სკოლის, წრისა და სემინარის მეცადინეობა მოწყვეტილია კომუნისტური მშენებლობის საარსებო პრაქტიკულ ამოცანებს, შემჩნეულია ვიწრო პრაქტიციზმი პროპაგანდისტთა ერთი ნაწილის მუშაობაში, გატაცება მხოლოდ საწარმოო საკითხებით.

მთელი რიგი გამოსვლები თათბირზე მიეძღვნა სოფლის მოსახლეობაში სააგიტაციო-პოლიტიკური მუშაობის შინაარსისა და ფორმების საკითხს. ამაზე ილაპარაკეს პარტიის ახალციხისა და ბოგდანოვკის რაიკომების მდივნებმა ამხ. **ვ. ფირცხალაიშვილმა** და ამხ. **ი. აბრამიანმა,** პარტიის ზუგდიდის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **ა. შეროზიამ** და სხვებმა.

ამხ. აბრამიანმა თათბირს გააცნო კოლმეურნეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის საინტერესო გამოცდილება, მუშაობისა, რომელიც პარტიის ბოგდანოვკის რაიკომმა და რაიონის პირველადმა პარტორგანიზაციებმა განახორციელეს „სტალინოს ოლქის მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მ უ შ ა ო ბ ი ს მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე. უკანასკნელ დრომდე აგიტატორთა უმრავლესობას რაიონის კოლმეურნეობებში საშუალო განათლებაც კი არ ჰქონდა, რაც ხელს უშლიდა იმას, რომ მეცადინეობა მაღალ იდეურ დონეზე ეწარმოებინათ. ამჟამად აგიტატორთა შემადგენლობა გადასინჯული და განმტკიცებულია სოფლის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთა და კოლმეურნეობათა მოწინავე ადამიანებით.

ამხ. ფირცხალაიშვილმა გააშუქა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიღწევების გავრცელებისათვის გაწეული სააგიტაციო მუშაობის გამოცდილება. მაგალითად, ახალციხის რაიონის აგიტატორმა ამხ. თ. სვანიძემ შეისწავლა კოლმეურნეობის საუკეთესო მწველავის ამხ. ტ. მუმლაძის მუშაობის მეთოდები და გააცნო ეს მეთოდები ყველა კოლმეურნეობას. მან მოაწყო აგრეთვე მუმლაძის შეხვედრა მეცხოველეებთან. ამის შედეგად მოწინავე მწველავის გამოცდილება ფართოდ გავრცელდა. ახალციხისა და ბოგდანოვკის რაიონებში ამაღლდა აგიტატორთა, როგორც სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორთა როლი. თვითანთ საუბრებში მათ უხვად მოჰყავთ აგიტაციური ფაქტები, ფართო პოპულარიზაციას უწევენ საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორთა მიღწევებს.

ამხ. შეროზიამ ილაპარაკა სააგიტაციო-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობაზე ზუგდიდის რაიონში. მაგრამ მას არაფერი არ უთქვამს იმაზე, თუ როგორ ეწევიან პარტორგანიზაციები იდეოლოგიურ მუშაობაში იმ სერიოზული ხარვეზების აღმოფხვრას, რომლებიც გამომჟღავნებულ იქნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მუშაკების მიერ ამასწინანდელი შემოწმების შედეგად.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლების გამგეები: ამხ. **ე. თედიაშვილი,** ამხ. **ვ. ტოშკუა** და ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის, თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტიული კომიტეტების პოლიტიკური განათლების კაბინეტების გამგეები. ამხ. **ი. გუნი** და ამხ. **მ. ალექსანდროვა.** მათ უამბეს თათბირს, თუ რა დახმარებას უწევენ პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები პროპაგანდისტებს, ახალი რა წარმოიშვა სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდის პრაქტიკაში.

ბათუმში თვეში ერთხელ ეწყობა „პროპაგანდისტის დღე“, როცა წრეების, სემინარებისა და სკოლების ხელმძღვანელები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ისმენენ კვალიფიციურ ლექციებსა და მოხსენებებს. მათ წინაშე გამოდიან პარტიის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის მდივნები. სტალინირში ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს მეთოდური საბჭოს მუშაობაში, რომელიც დიდ დახმარებას უწევს პროპაგანდისტებს მეცადინეობის სწორად მოწყობაში. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პოლიტიკური განათლების კაბინეტმა უზრუნველყო, რომ საწარმოში მოწყობილიყო 7 თეორიული და ეკონომიური კონფერენცია სკკპ XXI ყრილობის მიერ აღძრულ აქტუალურ საკითხებზე. თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკაში, რომელიც 26 კომისრის რაიონში მდებარეობს, პოლიტიკური განათლების კაბინეტი აგიტატორებს ეხმარება საინტერესო მასალების შერჩევაში რაიონის წარსულისა და სოციალისტური მშენებლობის წლებში მისი სწრაფი განვითარების შესახებ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილემ ამხ. **ნ. მახარაძემ** ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც ინსტიტუტის კოლექტივმა გასწია საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად. ახლა დამთავრებულია და გამოსაცემად მზადდება საქართველოს კომპარტიის ისტორიის მეორე ნაწილი, რომელიც მოიცავს პერიოდს დღეგანდლამდე. დამთავრებულია აგრეთვე მუშაობა საქართველოს კომკავშირის ისტორიის შესადგენად. მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფი მუშაობს რესპუბლიკის პროფკავშირული მოძრაობის ისტორიის წიგნის შესაქმნელად. დაწერილი და გამოცემულია 10 ბროშურა ქართველ პროფესიონალ რევოლუციონერებზე.

შემდეგ ამხ. მახარაძემ გააკრიტიკა ცალკეული მცდარი დებულებანი საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხებზე დაწერილ სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნებულია ზოგიერთ ჟურნალში. მან ილაპარაკა აგრეთვე იმაზე, რომ საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ზოგჯერ სცემს უცხოელ ავტორთა ცალკეულ ნაწარმოებებს, რომლებიც არ უნდა ვრცელდებოდეს.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის გამგემ ამხ. **ო. ურიდიამ** ილაპარაკა პროპაგანდისტთა კადრების შერჩევაზე, წრეების, თეორიული სემინარების დაკომპლექტებაზე მომავალ სასწავლო წელს. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი აწყობს პროპაგანდისტების გადამზადების ორკვირიან კურსებს. ორატორი აყენებს საკითხს, რომ გავრცელდეს თბილისის პარტორგანიზაციის გამოცდილება მეცადინეობის მოწყობის მეთოდიკის დარგში, დროზე მომარაგდეს აფხაზეთის პარტიული განათლების ქსელი სასწავლო და თვალსაჩინო სახელმძღვანელოებით.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ა. კელენჯერიძე** და გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის მოადგილე ამხ. **ი. ხომერიკი.** მათ ილაპარაკეს იმაზე, თუ რა გააკეთეს რესპუბლიკის პრესამ, რადიომაუწყებლობამ და ტელევიზიამ სკკპ XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალებისა და გადაწყვეტილებების განმარტებისათვის.

რესპუბლიკურმა პრესამ და რადიომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმალიზმის ტყვეობაში

★

ადიგენის რაიონში ვალდებულებების აღებით კმაყოფილდებიან...

★

უკანასკნელ წლებში ადიგენის რაიონის მშრომელებმა ერთგვარი ნაბიჯები გადადგეს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების, ფულადი შემოსავლისა და მატერიალური დოვლათის გადიდების საქმეში. შარშან მოწათმოქმედებისა და მეცხოველეობის გაცილებით მეტი პროდუქცია მიიღეს, ვიდრე 1957 წელს.

მაგრამ თუ კოლმეურნეობათა შესაძლებლობებსა და რეზერვებს გადავხედავთ, მოპოვებულ წარმატებებს უკან დიდი ჩრდილოვანი მხარეებია.

შეიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე განხორციელებისათვის ბრძოლაში რომ ჩაებნენ, ადიგენელებმა ვალდებულება იკისრეს 1959 წელს ერთ საფუძველ ძროხაზე მოწველონ 1.200 კილოგრამი რძე, ძროხის სულადობა აიყვანონ 1.468-მდე, ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოონ 100 ცენტნერი რძე, მნიშვნელოვნად გაზარდონ მარცვლეულის, ხორცის, მატყლის, კვერცხისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

უფრო გადიდებული ვალდებულებანი აკისრეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა. მაგრამ, სამწუხაროდ, რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა დაიგიწყეს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობა, სათანადო ინტერესს არ იჩენენ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და შრომის დისციპლინის, პროდუქციის წარმოების გადიდების, მისი გაიაფების და შრომის ხარჯების შემცირების საკითხებისადმი.

რაიონის კოლმეურნეობებში 1 აგვისტოსათვის ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 783 კილოგრამი რძე, იანვარსში ივნისთან შედარებით 20 კილოგრამით შემცირდა ერთი ძროხის წველადობა. ასევეა აგვისტოშიც.

— წველადობის დაკლების მიზეზი, — განაცხადა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლ. ოლლაშვილმა, — ის არის, რომ სახაფფულო იალაღებზე სიცივეები დაიწყო, თან ბეზი გამრავლდა და პირუტყვს მოსვენებას არ აძლევს (!).

ამ განცხადების უსუსურობას ცხადყოფს ერთ და იმავე პირობებში მყოფი ორი მეზობელი სოფლის ყარათუნინსა და ადიგენის კოლმეურნეობების მუშაობის მაგალითი. ყარათუნელებმა შეიდ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 600 კილოგრამით გაადიდეს თვითეული ძროხის წველადობა, ერთ ძროხაზე 1.647 კილოგრამი რძე მიიღეს და წლის ბოლომდე 2.000 კილოგრამის მიღებისათვის იბრძვიან. ადიგენელებმა საშუალოზე ნაკლები, მხოლოდ 679 კილოგრამი რძე მოწველეს.

ჩვენ პარტიის ადიგენის რაიკომის მეორე მდივან ამხ. ა. იაკობიძესთან და რაიკომის მდივან ამხ. ა. მაჩაიძესთან ერთად ვიყავით ზეკარის ოღელტეხილის მაღალმთიან სახაფხულო იალაღებზე. აქ განლაგებულია ადიგენის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობისა და სოფელ ნახნის კოლმეურნეობის ფერმები. მეურნეობის პირუტყვი გალაღებულია, შვიდ თვეში ერთ ძროხაზე 1.029 კილოგრამი რძეა მიღებული. წახნელთა პირუტყვს კი, რომ ეტყვიან, ვეკრდებინ სანაოვე გასდის, ნამატი დაჯნდაგებულია. 1 აგვისტოსათვის ერთ ძროხაზე მხოლოდ 578 ლიტრი რძეა მიღებული. აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, 2-3 ლიტრით დაიკლო ძროხის ყოველდღიურმა წველადობამ.

წახნელთა ფერმაში მოუგვარებელია აღრიცხვა. მეცხოველეები ვერ ერკვევიან თავიანთ ამოცანებში, დაბალ დონეზე დგას პირუტყვის მოვლა-პატრონობა. კოლმეურნეობის პირუტყვი რომ ასეთ დღეშია, აქვე ფერმის მუშაკთა ღორები სიმსუქნით ძლივს დადიან. არტელის ღორების რაოდენობა კი 9 სულს არ აღემატება და ისინიც მოუვლელობით დაკნინებული არიან.

ჯერიანი ყურადღება არ ექცევა მეცხოველეობის სულადობის გადიდებასა და ჯიშობრივ გაუმჯობესებას. არც ერთ კოლმეურნეობას არ აქვს შესრულებული ძროხის სულადობის ვალდებულებანი. აკლიათ 298 სული ძროხა, 50 დედაღორი, 696 დედაცხვარი, 4 ათასამდე მოზრდილი ფრინველი და 3.512 ფრთა კვერცხმდებელი ქათამი. მარტო არალის ეცხოველის სახელობის კოლმეურნეობას ვალდებულებასთან შედარებით აკლია 65 სული ძროხა, წრის კოლმეურნეობას — 9 სული, ზანავის კოლმეურნეობას — 13, უდის კოლმეურნეობას — 35, ხოლო წახნის კოლმეურნეობას — 23 სული.

ასეთი საგალაღო მაჩვენებლები იმის შედეგია, რომ დიდი ბერწიანობის პროცენტი, ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად ადგილი აქვს პირუტყვის სიკვდილიანობას. მაგალითად, წელს კოლმეურნეობებში დაიხოცა 106 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 140 სული წვრილფეხა პირუტყვი და 65 ღორი. მარტო იელსაში მოკვდა 17 სული მსხვილფეხა, 32 სული წვრილფეხა პირუტყვი და 8 ღორი.

საქმეზე არ ზრუნავენ ჯოგის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის. მეტიზებული ძროხების რაოდენობა 20 პროცენტს არ აღემატება, წელს ვალდებულებთან ნაკისრი 100 სული ჯიშიანი ძროხის ნაცვლად მხოლოდ 22 ძროხაა შემოყვანილი.

ვალდებულებით რაიონის კოლმეურნეობებმა წელს უნდა აწარმოონ 3.570 ცენტნერი ხორცი, ფაქტიურად 1 აგვისტოსათვის წარმოებულია 1.290 ცენტნერი, აქედან ღორის ხორცის ხვედრითი წონა 10 პროცენტს არ აღემატება. საინტერესოა, რით ფიქრობენ რძის წარმოების გადიდების საქმეში ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, როცა შვიდ თვეში ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მხოლოდ 65 ცენტნერი, მოლიანად კი 12.960 ცენტნერის ნაცვლად 9.776 ცენტნერი რძეა წარმოებული.

მხოლოდ 46 პროცენტით არის შესრულებული ხორცის დამზადების წლიური გეგმა, რძისა—80 პროცენტით, მატყლისა — 45 პროცენტით.

კოლმეურნეობების ფერმებში არ ხორცელდება შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, ჯერ კიდევ შექმნილი არა აქვთ მრვლა-პატრონობის ჯერიანები პირობები, ამის შედეგად საგრძნობლად აძიერებენ მეცხოველეობის პროდუქციას. ავიღოთ ადიგენის, ზემო ენთელის, ფხეროს, ნაქურდევის, წახნისა და უდის კოლმეურნეობები. უდის კოლმეურნეობამ შარშან ცენტნერი ხორცის წარმოებაზე 155 შრომადღე დახარჯა. ეს 114 შრომადღით მეტია რაიონის საშუალო მაჩვენებლებზე. ბოლოჯურის კოლმეურნეობას დახარჯული აქვს 75 შრომადღე. ფხეროს, ადიგენის, ნაქურდევისა და წახნის კოლმეურნეობებში ცენტნერი რძის წარმოებაზე შრომადღეების დანახარჯი 1,5-2-ჯერ აღემატება რაიონის საშუალო მაჩვენებლებს. შარშან რაიონში 1.000 ფალი კვერცხის წარმოებაზე 72 შრომადღე დაიხარჯა. მარტო ხევაშენის კოლმეურნეობაში დახარჯულია 547, ზოყის კოლმეურნეობაში 270, ჩორნანის კოლმეურნეობაში კი 200 შრომადღე.

მეცხოველეობის საწარმოო ხარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას ისიც იწვევს, რომ არ ზრდიან საკვები კულტურების შესაძენად ნათეს ფართობებსა და მოსავლიანობას. შარშან მარტო საკვების შესაძენად კოლმეურნეობებმა 187.555 მანეთი დახარჯეს. ეს ფაქტი რატომღაც არ აფიქრებთ. 10 აგვისტოსათვის ჩადებული ჰექტარი ჰექტარ მხოლოდ 6.444 ტონა სილოსი. ნელი ტემპით მიმდინარეობს ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვა, ზვინებად დადგმა და ზამთრის ბინებთან მიზიდვა.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისადმი ნაკლებ ზრუნვაზე ისიც მეტყველებს, რომ რაიონში პირად სექტორში საზოგადოებრივ სექტორთან შედარებით ორჯერ მეტი პირუტყვი ჰყავთ. სოფლებში მოხეში, დერეველსა და კიკიბოში, რომლებიც წელს მოხის მეხორცეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში „გაერთიანდნენ, ერთ კომლზე რამდენიმე ძროხა და 10-12 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი მოდის. მეურნეობაში კი ორჯერ ნაკლები პირუტყვი ჰყავთ, თუმცა სათიბ-საძოვრების უდიდესი ნაწილი მეურნეობას ეკუთვნის.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი იმით არის გამოწვეული, რომ პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ქმედით ზომებს არ იღებენ კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობების, მეცხოველეობის ფერმების საქმის კარგი ორგანიზატორებით, სპეციალისტებით განმტკიცებისათვის. სუსტად წარმოება მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილების პროპაგანდა.

ადიგენელებმა თავი უნდა დაადწიონ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამეფებულ ფორმალიზმს. საჭიროა ყველა რეზერვი და შესაძლებლობა აამოქმედონ სამარცხვინო მდგომარეობიდან გამოსვლისა და მოწინავეთა რიგებში ჩადგომისათვის. ამას მოითხოვს შეიდწლედის დიდებული პროგრამის ვადაზე ადრე განხორციელების გრანდიოზული ამოცანა.

ჰ. ხვადაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ორაგულეგის ქარავანი დაიძრა ზღვისკენ

იხტიოლოგთან საუბარში...

გუდაუთს 18 კილომეტრის დაშორებით, სოხუმსოჭის გზატკეცილს რომ გადაკვეთთ და მარჯვნივ შემაღლებულ ფერდობებზე დაკლაკნილ გზას შეუდგებით, თავს დაბურულ ჭალაში წარმოიდგენთ. გაიგლეთ კიდევ ორიოდე კილომეტრს და თქვენს წინ გადაიშლება მეშვიდეთა დასახლების ვრცელი პანორამა. თვალის ერთი მოვლებით ადვილად შეამჩნევთ ერთ ხაზზე ჩამწკრივებულ კოხტა ოდა-სახლებს, მათ მარჯვნივ კი არხისმაგვარ რკინაბეტონის ნაგებობებს.

ერთი შეხედვით გეეცნაურებათ: მართლაც საინჟინრო სისტემის არხებია, რომლებშიც წყალი მიედინება, ხოლო ირგვლივ ტყით დაფარული ფერდობებია, არ ჩანს საარწყავი ფართობები. შესაძლოა გვირაბებით შორს მიდის წყალი! ფიქრობთ უნებლიეთ და ამიტომ თავს იკავებთ ეკითხოთ, გულუბრყვილოდ არ მიიღონ ჩემი შეკითხვაო.

როგორც ჩანს, მიგვიხვდა მერყეობას ჩვენი თანამგზავრი, ახალსოფლის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯუმბერ კერესელიძე და ჩვეულებრივი რეჟისერი სიდინჯით გადმოგვილაპარაკა:

— ალბათ სარწყავი სისტემა გგონიათ. არა, ეგ არხი არ არის, თქვენს თვალწინ შავწყალას ორაგულ-კალმახის სანაშენო მეურნეობის გუბურებია.

— საინტერესოა! მერე და როგორ ამრავლებენ ამ ძვირფას თევზებს?

— ადგილზე ჩავიდეთ, იქ ყველაფერს გაგაცნობთ მეურნეობის იხტიოლოგი მოვსეს აკოფიანი, — გვიპასუხა ჯუმბერმა.

ცოდვა გამხელილი სჯობს. მანამდე იხტიოლოგიასა და იხტიოლოგის პროფესიაზე წარმოდგენა არ გვქონდა. აი უცნაურობაც ეს არის. რა ბრძნულად არის ხალხის მიერ ნათქვამი: კაცს სიბერემდე სწავლა არ მოსჭარბდებაო! ისიც კი არ ვიცოდით, რომ მოსკოვში არსებობს თევზის ინსტიტუტი. [illegible] თევზის მეურნეობებისა და სამეცნიერო დაწესებულებისათვის სპეციალისტებს და მეცნიერ მუშაკებს აშზადებს. სწორედ ეს ინსტიტუტი დაუმთავრებია მ. აკოფიანს 1949 წელს და მიუღია იხტიოლოგის წოდება. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სევანზე და სტავროპოლის მხარეში უმუშავნია, ხოლო 1957 წელს სამუშაოდ ამ მეურნეობაში გადმოუყვანიათ.

იხტიოლოგი სტუმართმოყვარულად, გულღიად შეგვხვდა და გაგვიძღვა მეურნეობის დასათვალიერებლად.

— ჩვენს მეურნეობას,—მოგვიყვა გზადაგზა აკოფიანი, — მეტად კეთილმობილური ამოცანა აქვს დაკისრებული: გამრავლოს, ყოველმხრივ განავითაროს შავი ზღვის ორაგული და მოაშენოს სამრეწველო კალმახი. დღინარე შავწყალა, რომლის ბაზაზეც შექმნილია ჩვენი მეურნეობა, შავი ზღვის ორაგულის სამშობლოდ ითვლება. ადრე აქ ბუნებრივად მრავლდებოდა ორაგული, ბევრიც იყო მდინარეში, ზღვაში, ხოლო უკანასკნელ ხანებში ძალზე შემცირდა, ბრაკონიერების დასაჭერად თარეშმა დიდი ზიანი მიაყენა ამ ძვირფასი ჯიშის თევზს.

— მაინც როგორ ახერხებთ ორაგულის მომრაობელებს?

— ორაგულს თავისებური ცხოვრება აქვს, — დაიწყო იხტიოლოგმა და პატარა შენობასთან შეგვაჩერა, — ეს არის ჩვენი ინკუბატორი. დედალი ორაგულიდან მიღებულ ქვირითს აქ სპეციალურ კამერაში ვათავსებთ, სადაც გამოგვყავს ორაგულის ლიფსიტები...

ჩვენ აქ გავიხსენეთ ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ორაგულის ცხოვრება“, რომელშიც დიდი მგოსანი ჩვეული ოსტატობით აგვიწერს თევზთა მეფის საოცარ ცხოვრებას: ორაგული თხრას იწყებს შემოდგომაზე, სექტემბრის ნახევრიდან. ხალხში თქმულია: ხარ-ირემი და ორაგული დაჯიბრებულნი არიან და ცდილობენ ალავერდობას (დღეობაა კახეთში) ერთმა მეორეს დაასწროს, ირემმა „იყვიროს“, ორაგულმა „ბოლო გაიქნიოს“, ე. ი. ქვირითის ყრას შეუდგეს. მკითხველმა, რა თქმა უნდა, იცის, რომ ქვირითიდან ორაგულები ჩნდება. თუ ორაგული ყველა ჯურის თევზსა ყლაპავს და აჩანაგებს, სამაგიეროდ, ეს წვრილი თევზები ქარავნად ამ დროს ორაგულს თან დასდევენ და ძალიან ბევრს ქვირითს უჭამენ. ორაგულის ქვირითს უფრო კალმახი ეშტერება. ორაგული ამას ხედავს, კარგად გრძნობს და ალბათ იმიტომ მაღავს წყალში, ქვიშაში და ქვებში ფლავს ქვირითს, რომ ადვილად არ შეჭამონ თევზებმა. ქვირითს როგორც ორაგული, ისე ყველა სხვა თევზი, გორაობით იშორებს; მაგრამ როგორც ორაგულმა იცის ამოჩემება ერთი ადგილისა ქვირითის დასაყრელად, ისე ყველა სხვა ჯურის თევზმა არ იცის ეგ ამბავი, საცა ორაგულის ნათხარია. იქ ორმა ორმოა გაკეთებული, დიდრონი ქვიბი ხახუნით, ზედ ქნევით გადაბრუნებული...

ვაჟას ამ სიტყვების გახსენებამ დაგვაეჭვა იხტიოლოგის ნათქვამის სისწორეში.

— დაუჯერებელია ქვირითიდან ხელოვნურად ლიფსიტების მიღება! — გადავულაპარაკეთ ერთმანეთს.

— შეუძლებელი აქ არაფერია, — ღიმილით განაგრძო იხტიოლოგმა, — თუ როგორ ვაღწევთ ამას, მოგახსენებთ. მარტის ბოლოს ან აპრილის პირველ რიცხვებში დედალ-მამალი ორაგულები ზღვიდან დაწყვილებულად ბრუნდებიან შავწყალაში ქვირითის დასაყრელად. მთის ამ ცივ მდინარეში მათი შემოსვლა აგვისტოში მთავრდება. მაშინვე იწყებენ ორმოების (ბუდეების) გაკეთებას ლოდებს შუა. დაკვირვებით დადგენილია, რომ მხოლოდ დედალი ორაგული აკეთებს ბუდეს, მამალი ორაგული კი, როგორც ვაჟა ამბობს, დაფაცურებულია, დედალ ორაგულს თვალს არ აშორებს, ხანდახან დედალი ორაგულის ლოგინში შეისეირნებს, მოავლებს თვალს, დაათვალიერებს, თუ რამდენად ასრულებს იგი თავის დედობრივ მოვალეობას. როცა დედალი ორაგული საზრდოს საძებრად გამოდის ნათხარიდან, მამალი ორაგული მასთან შორი-ახლოს არის და ისიც დედალ ორაგულთან ერთად დასდევს დასაჭერად წყრილ თევზებს.

— რამდენ ხანში ამთავრებს ორაგული სალოგინედ ორმოს გაკეთებას?

— სამ-ოთხ დღეში. ორი მეტრი დიამეტრის მანძილზე, წყალში სიღრმით 25 სანტიმეტრამდე დედალი ორაგული ასუფთავებს ადგილს ქვაღორღისაგან, აკეთებს ერის ჩინჩხილს. როგორც კი მოთავებს ბუდის გაკეთებას, მაშინვე იწყებს ქვირითის დაყრას. სწორედ ამ დროს ფეზზეა დამდგარი მთელი ჩვენი მეურნეობა. თუ მომენტი ხელიდან გავუშვით, აღარაფერი ეშველება, სანქმე ჩაგვეფუშება, ქვირითის მოღებას ვერ მოვახერხებთ.

— როგორ, ქვირითი ხომ ადგილზე რჩება?

— საქმეც ის არის, რომ ქვირითის დაყრამდე უნდა დავიჭიროთ ორაგულები. თუ ქვირითის დაყრა მოასწრეს, ის ჩვენი იღარ არის.

— ტყეობაში მყოფი ორაგული ხომ არ დაყრის ქვირითს?

— მაგაზეც მოგახსენებთ. წინასწარ ვიცით ორაგულების ბუდის ადგილსამყოფელი და გამოდგებით ვუთვალთვალებთ. როგორც კი შევამჩნევთ, რომ დედალი ორაგული იწყებს ქვირითის დაყრას, ბადით ვიჭერთ და მოგვყავს აქ, სადაც ვათავსებთ მისთვის განკუთვნილ გუბურაში. აქ მუცელზე ხელის მასაჟით ვაიძულებთ ქვირითის დაყრას. ამავე წესით მამალი ორაგულიდან ვიღებთ სპერმას, რომელსაც თხელ ფენად ვუსვამთ დედალი ორაგულიდან მიღებულ ქვირითს და ასე შემზადებულს ვდებთ სპეციალურ ჩარჩოში, რის შემდეგ შეგვაქვს საინკუბატორო აპარატში, რომელიც აგერ, იმ შენობაშია და ვდგამთ მისთვის განკუთვნილ ადგილზე, სადაც მუდმივად მოედინება შავწყალას ცივი წყალი. ამ სამუშაოს ორ-სამ საათში ვამთავრებთ, რადგან ამ დროის გასვლის შემდეგ ქვირითიც და სპერმაც იღუპება.

— რამდენი დრო სჭირდება ლიფსიტების მიღებას?

— 40-45 დღის შემდეგ გამოდიან ლიფსიტები. ეს დამოკიდებულია წყლის ტემპერატურაზე. რამდენადაც წყალი შედარებით თბილია, ლიფსიტაც უფრო ადრე გამოდის. მათ სპეციალურ გუბურებში ვინახავთ 2-3 თვეს, როგორც კი დათქმულ სიდიდეს მიაღწევენ, უშუალოდ მდინარეში ვუშვებთ. ზოგიერთებს სანაშნოებსაც ვუკეთებთ. პატარა ორაგულები შავწყალაში დანავარდობენ, ხოლო, როცა დრო მოუვათ, ქარავნებად მიემართებიან ზღვისაკენ და იქ საბოლოოდ ვაქაკაცდებიან. გაზაფხულის დამდეგს კი დაზრდილი ორაგულები ისევ მოაშურებენ თავიანთ მშობლიურ მდინარეს, რათა დაყარონ ქვირითი და გაიარძელონ შთამომავლობა.

შემდეგ ამხ. აკოფიანმა გვიამბო, რომ 1957 წლამდე მეურნეობა ქვირითის მიღებას ვერ ასრულებდა. უძნელდებოდათ წინასწარ გაეთვალისწინებინათ, რამდენს დაიჭერდნენ ამ მიზნით ორაგულებს. 1957 წელს უკვე ჰყავდათ მეურნეობაში გაზრდილი ერთი წლის ასაკის ორაგულები, რომლებიც, როგორც წესი, მდინარეში უნდა გაეშვათ, მაგრამ ეს არ გაუკეთებიათ. მეორეს წელია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჰყავთ „მოშინაურებული“ ორაგულები, რომლებიც თავისუფლად დანავარდობენ მათთვის სპეციალურად განკუთვნილ მორეებში. ამ ორაგულებისაგან წელს პირველად მიიღებენ ქვირითს, ისე, რომ ამიერიდან გეგმიანად წარიმართება შავი ზღვის ორაგულის მომრაველება და მისი აღრინდელი რაოდენობის აღდგენა.

— მეთევზეობის მეცნიერება კი ასე არ გვასწავლის, — შენიშნავს იხტიოლოგი, — სპეციალური ინსტრუქციით დაწესებულია ქვირითის მიღება მდინარეში დაჭერილი ორაგულისაგან. ჩვენი ინიციატივით გადავუხვიეთ ამ ინსტრუქციას. ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო; ჩვენც ვცდით, და ვგრნებ, ცუდად არ გამოვა საქმე. ჩვენ შეეძლებთ მოკლე დროში იმდენი ორაგული მოვამრავლოთ, რომ ზღვისკენ მიმავალმა ორაგულებმა ქარავნებმა დიფარონ მდინარე მავწყალა.

დადგენილია, რომ შავწყალას კალმახის მეურნეობაში გამოყვანილ ორაგულებს გაუცურავთ ხმელთაშუა ზღვა, წყნარი და ატლანტიის ოკეანეები და აღმოჩენილან ამერიკისა და სხვა ქვეყნების სანაპიროებზე. ამას ადასტურებს ის ცნობები, რომლებიც მიღებული აქვს მეურნეობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან: ჩვენს სანაპიროებზე დაჭერილ ორაგულებს თქვენი მეურნეობის სანაშნობლები აღმოაჩნდათო.

ორაგულების გამრავლების გარდა, შავწყალას მეურნეობაში სამრეწველო კალმახის მოშენებასაც მისდევენ. ამ მეურნეობაში უკვე კარგად დაეუფლნენ კალმახისაგან ქვირითის მიღებას და ლიფსიტების გამოყვანას, ყოველწლიურად იღებენ 150-250 კილოგრამ ქვირითს. შარშან თუ 4 ტონაზე მეტი კალმახი გადასცეს სარეალიზაციოდ, წელს დაგეგმილი აქვთ 20 ტონა კალმახის პროდუქცია მიიღონ.

— შეასრულეთ კი? — შეეკითხეთ ამხ. აკოფიანს.

— როგორ გითხრათ, ტრაბახად რომ არ ჩამითვალოთ, შეიძლება გადავაჭარბოთ კიდეც, ოღონდ ამისათვის პირობებიც უნდა შეიქმნას. მაგალითად, შარშან საჭირო რაოდენობის საკვების უქონლობის გამო გეგმის შესრულებას ვერ მივაღწიეთ. თუ საკვების მტკიცე ბაზა გვექნება, არა გვგონია გაგვაჭირდეს. სხვათა შორის, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენც, მეთევზეობაში, გვაქვს საკვებგეტაციო ჰექტარები. სტანდარტული კალმახი 120-140 გრამს უნდა აღწევდეს, ამ წონას კი, როგორც მოგეხსენებათ, თევზის კვების დადგენილი რაციონი მოგვცემს. საქართველოს თევზის მრეწველობის სამმართველოს დახმარებით შევძლებთ სიძნელეთა გადალახვას, ვალდებულების შესრულებას.

მეურნეობას ჰყავს თავისი მოწინავე ადამიანები, რომლებიც თავდადებული შრომით აღწევენ წარმატებას. მათ შორის აღსანიშნავი არიან ოსტატები სერგო ბარქაია და ზოია ბარციცი, მეთევზეტექნიკოსები რიტა ლომპატინა და ნინო ეფტინა, მუშა რამსი გაბლია და მრავალი სხვ. ყველა ესენი მოსკოვის თევზის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების წარჩინებული სტუდენტები არიან. ასე რომ შრომაშიც მარჯვენი არიან და სწავლაშიც.

— მოკლე დროში ჩვენი კალმახი თბილისელთა სუფრასაც დაამშვენებს, — — ამბობენ ამ მეურნეობის შრომისმოყვარე მუშები.

გვჯერა, რომ ასეც იქნება!

ა. კოკილაშვილი,
ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

* * *

სურათებზე: ზევით — შავწყალას კალმახების მეურნეობის ერთი კუთხე; ქვევით — გუბურებში სამრეწველო კალმახების დაჭერის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ნ. ჯომიდავასი და ი. გოგეჩიასი.

მასწავლებელთა დახელოვნებისათვის

ყოველი ლონისძიებით უზრუნველვყოთ კვალიფიციური კადრების მომზადება

საბჭოთა სკოლის წინაშე დაყენებული ამოცანების გადაწყვეტაში განათლების სხვა ორგანოებთან ერთად სერიოზული წვლილი უნდა შეიტანოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმაც, რომელმაც უნდა აამაღლოს მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა იდეურ-თეორიული დონე, პედაგოგიური კვალიფიკაცია და ამით ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ახლებურად წარმართვას.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა განათლების ხაზით ამჟამად მდგომი ამოცანების შესაბამისად შეადგინა საკურსო ღონისძიებათა წლიური გეგმა, გადაამუშავა დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმები და პროგრამები. დახელოვნების ყველა სახის კურსების სასწავლო გეგმებში ცალკე საგნად შეტანილია „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა, — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა“, „საბჭოთა სკოლა განვითარების ახალ ეტაპზე“, „სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობის საკითხები“, „სასკოლო და საწარმოო პიგიენის საკითხები“. მნიშვნელოვნად გადიდდა პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა. მასწავლებელთა თეორიული დონის ამაღლების მიზნით მთელი რიგი კურსების სასწავლო გეგმებში ცალკე საგნად შეტანილია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. მაგალითად, ამ საგანს ფიზიკისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე დათმობილი აქვს 20 საათი (აღნიშნულ საგანში ლექციები წაიკითხა თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორეტორმა პროფ. მ. მიროანაშვილმა).

სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა კურსების საშუალებით 1959 წელს კვალიფიკაცია უნდა აუმაღლოს 4000 მასწავლებელსა და განათლების სხვა მუშაკს. ინსტიტუტმა გადაჭარბებით შეასრულა მომდინარე წლის პირველი შვიდი თვის საკურსო ღონისძიებათა გეგმა (დახელოვნების კურსებზე გამოცხადდა განათლების 3.753 მუშაკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.300-ისა).

ინსტიტუტმა წელს მოაწყო მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებისა და ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები.

ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პოლიტექნიკური ციკლის მასწავლებელთა დახელოვნებას. წელს მოწყობილ დახელოვნების კურსებზე გამოცხადდა 668 მასწავლებელი.

მოსწავლე გოგონების მომავალი შრომითი საქმიანობისათვის მოსამზადებლად ინსტიტუტმა წელს პირველად მოაწყო მეოჯახეობის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები, რაც 82 მასწავლებელმა გაიარა. წელს პირველად მოეწყობა სკოლა-ინტერნატების დირექტორების და უფროსი აღმზრდელების დახელოვნების კურსები.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს განზრახული აქვს ახალი სასწავლო წლიდან ადგილზე მისვლით შეამოწმოს და შეისწავლოს იმათი პედაგოგიური საქმიანობა, რომლებმაც დახელოვნების კურსები გაიარეს.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საჭიროა მეცნიერების საფუძვლების შესწავლა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს პრაქტიკულ საქმიანობას, გადიდდეს პედაგოგიკისა და კერძოდ, მეთოდიკისათვის გათვალისწინებული საათების რაოდენობა, ამაღლდეს სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკისა და დაუსწრებელი სწავლების ხარისხი, მჭიდრო კავშირი დამყარდეს პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და სკოლებს შორის. დროულად და სწორად უნდა განისაზღვროს თვითეული სკოლისათვის შესაბამისი საწარმოო სწავლების პროფილი და შეირჩეს შესაფერისი მასწავლებელთა კადრები. ორგანიზებულად უნდა იწყობოდეს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება.

ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეაქვთ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს და ქუთაისსა და სოხუმის ფილიალებს. მომდინარე წლის პირველ ხუთ თვეში აღნიშნული ინსტიტუტის მუშაკებმა ადგილზე მისვლით შეისწავლეს 676 სკოლის 1.241 მასწავლებლის მუშაობა, მოისმინეს 1.552 გაკვეთილი. ინსტიტუტმის მიერ მოწყობილ საქალაქო და რაიონულ სემინარებზე წაკითხულ ლექციებს დაესწრო 5.321 მასწავლებელი და განათლების სხვა მუშაკი.

მარტო მასწავლებელთა მაღალი თეორიული მომზადება, და პედაგოგიური ოსტატობა საკმარისი არ არის სკოლის წინაშე აყენებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. ფიზიკის, ქიმიისა და სხვა საგნების სწავლება ალარ შეიძლება მარტო ზეპირსიტყვიერად. მოსწავლეებში შრომიადმი სიყვარულის აღზრდა და შრომითი ჩვევების გამომუშავება, მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ახლებურად გარდაქმნა სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზის უქონლად შეუძლებელია. სკოლებში უნდა გაქონდეს სახელოსნოები, დანადგარები, ხელსაწყო-იარაღები და მასალები და ეფექტურად ვიყენებდეთ მათ მუშაობაში.

დიდი როლი ეკისრება მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებს. თათბირისათვის გულდასმით მომზადება, პლენარული სხდომებისა და საგნობრივი სექციების ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-თეორიულ და პედაგოგიურ დონეზე ჩატარება სერიოზულ წვლილს შეიტანს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ახლებურად გარდაქმნის საქმეში.

გ. ასპინძელაშვილი,
საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი.

ერთი რევიზიონისტული კონცეპციის შესახებ

სამეცნიერო თემაზე

მეცნიერების უახლესი მონაცემების შედეგად უცხოელ მკვლევართა ერთმა ჯგუფმა გააკეთა დასკვნა, რომ ტვინში უმაღლესი ფუნქციების ლოკალიზაციის პრობლემა საჭიროებს გადასინჯვას. მეცნიერებმა მიერ მოპოვებული ახალი ფაქტების შესაბამისად. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ზოგიერთი ამ ფაქტის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე შემუშავდა თავისებური, ე. წ. ცენტრენცეფალური სისტემის თეორია, რომელიც თანამედროვე უცხოური მედიცინისა და ბიოლოგიის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს.

ამ კონცეპციისადმი ინტერესი არ შემოიფარგლება მხოლოდ სამედიცინო-ბიოლოგიური დისციპლინების წარმომადგენლებით, მან ცოფელი გამოხმაურება ჰპოვა იდეალისტურად განწყობილ ფილოლოგებსა და ფილოსოფოსებს შორის. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ ცენტრენცეფალური სისტემის თეორია მიმართულია ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის ძირითადი საკითხებისადმი. ამას მოწმობს თუნდაც უკანასკნელ წლებში შემდგარ სიმპოზიუმთა სახელწოდებები. მაგალითად, „ტვინი და გონება“ (1952 წ.), „ტვინის მექანიზმები და ცნობიერება“ (1954 წ.) და სხვ.

აღნიშნული კონცეპცია არსებითად ეწინააღმდეგება ი. პავლოვის კლასიკურ შეხედულებას უმაღლესი ნერვული მოქმედების პროცესში დიდი ჰემისფეროების ქერქის როლის შესახებ.

ცნობილია, რომ უმაღლესი ნერვული მოქმედების პროცესში პავლოვი წამყვან როლს აკუთვნ

ცივი ომი საშიში საქმეა — წერს «ტრიბუნი»

საგჭოთა ხელოვნების ჯხალი ტრიუმფი საზღვარგარეთ

საჰარაში არ უნდა იფეთქოს ატომურმა ბომბმა

„მოსკოვის კინოფესტივალი დიდი წარმატებით დაგვირგვინდა“

ლონდონი, 23 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „ობსერვერში“ გამოქვეყნდა კინოკრიტიკოს ვერა ტრაილის სტატია მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის შესახებ.

ვერა ტრაილი ახასიათებს ამ ფესტივალის მნიშვნელობას საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში და ხაზს უსვამს, რომ ფესტივალმა აღმოაჩინა ისეთი ქვეყნების კინემატოგრაფია, როგორიც არიან კორეა, ვენესუელა, ლიბერია, ალბანეთი, პაკისტანი, მონღოლეთი და ვიეტნამი. ფესტივალი აღინიშნა აგრეთვე იმით, რომ მრავლის აღმოქმელი კონტაქტი დამყარდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების კინომოღვაწეებს შორის.

„დისკუსია, რომელიც მოსკოვის კინოფესტივალზე მიმდინარეობდა, — წერს ვერა ტრაილი, მეტად სასარგებლო და საგულისხმო იყო. ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს რუსმა რეჟისორებმა და კინოკრიტიკოსებმა, რომელნიც არა მარტო აღტაცებული, ჭკვიანი და თავიანთი საქმის ერთგული ადამიანები არიან, არამედ, როგორც ჩანს, უნახავთ აბსოლუტურად ყველა ფილმი, რომელიც კი მსოფლიოში გამოსულა“. ვერა ტრაილი აღნიშნავს, რომ მოსკოვის კინოფესტივალი დიდი წარმატებით დაგვირგვინდა.

„რაც უფრო ახლოვდება საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მთავრობათა მეთაურების მომავალი შეხვედრები, მით უფრო ძლიერდება დასავლეთში დისკუსია კაპიტალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკის შემდგომი განვითარების შესახებ. ამ დისკუსიის მიზეზები და არსი კარგად განსაზღვრა 15 აგვისტოს სარედაქციო სტატიაში ინგლისელი ლეიბორისტების ყოველკვირეულმა ორგანომ „ტრიბუნმა“. ჟურნალის აზრით, დისკუსია უწინარეს ყოვლისა იმიტომ წარმოიშვა, რომ დასავლეთის ხელმძღვანელებმა „უკვე ბუნდოვნად და ნაგვიანევად შეიგნეს რამდენიმე პირველი და ელემენტარული ჭეშმარიტება იმ მსოფლიოს შესახებ, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ“. რა ჭეშმარიტებებია ეს? „ტრიბუნი“ ჩამოთვლის მათ და განსაკუთრებით გამოჰყოფს შემდეგს: „საბჭოთა კომუნიზმი კვლავაც იარსებებს. ცივი ომი და გამალებული შეიარაღება მხოლოდ და მხოლოდ საშიში საქმეა, განსაკუთრებთ ატომის ეპოქაში საჭიროა ბეჯითი და შორს გამიზნული მოლაპარაკება ორ სამყაროს შორის და ორი სამყაროს ნაწილებს შორის“.

ამ აქსიომების შეგნებამ ოდნავ მაინც საღად მოაზროვნე ადამიანების წინაშე დასავლეთში დააყენა იმის პრობლემა, რომ სახელმწიფოებმა ხელი აიღონ ძალისა და ცივი ომის დახავსებულ პოლიტიკაზე და დაადგნენ მშვიდობიანი თანაარსებობის გზას, რომ ეს საჭიროა, სსრ კავშირში მოგზაურობის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა რ. ნიქსონმაც კი აღიარა, რომელიც წინათ ცნობილი იყო იმით, რომ უარყოფითად ეკიდებოდა მშვიდობიანი ფანაარსებობის იდეას.

მაგრამ დასავლეთში ჯერ კიდევ არიან დასავლეთის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულების შუბლმაგარი დამცველები. მათს შორის და მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრეთა შორის დისკუსია იმით ამოწურება, რომ განიხილავენ თანამედროვეობის ძირეული საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების გზებსა და მეთოდებს, და დასავლეთის თვითეულ ქვეყანაში ამ დისკუსიას საკუთარი თავისებურებანი აქვს.

ყველაზე გაცხოველებით მიმდინარეობს ეს დისკუსია ამერიკის შეერთებულ შტატებში. დისკუსიის ერთ-ერთმა მონაწილემ, წარმომადგენელთა პალატის წევრმა უილიამ მეიერმა ასე ჩამოაყალიბა ამერიკის საგარეო პოლიტიკის ახალი კურსის მომხრეთა თვალსაზრისი: „...საერთაშორისო საქმეებში ორპარტიული ხელმძღვანელობის პოლიტიკა გაკოტრდა და საბოლოო ანგარიშით მხოლოდ იმას გვიქადის, რომ ჩემი ქვეყანა და მთელი კაცობრიობა კატასტროფისაკენ დაეშვას... შეერთებული შტატების წინაშე დასახულია ამოცანა გადასინჯოს მთელი საგარეო პოლიტიკა“. კონკრეტულად რით უნდა გამოიხატოს ასეთი გადასინჯვა?

ხსენებული უილიამ მეიერი ამბობს, უწინარეს ყოვლისა საჭიროა უარი ვთქვათ იმ ცდებზე, რომ „ყველა ჩვენი უბედურებისაგან (ე. ი. კაპიტალისტური სამყაროს უბედურებათაგან) ხსნას კომუნისტური სფეროხმლების მომიზეზებით ეპოულობდეთო“. სენატორ ჰემფრის აზრით, ამოცანა ის არის, რომ ბოლო მოვუღოთ ხელოვნური დაძაბულების შექმნას მოლაპარაკებაში გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ.

ამ და მზგავსი განცხადებებისა და არგუმენტების დამჯერებლობის უარყოფა გაკოტრებული ძალის პოლიტიკის ისეთ აპოლოგეტებსაც კი არ შეუძლიათ, როგორიც არიან სენატორი უოლეს ბენეტი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე შორეული აღმოსავლეთის საქმეებში გრეჰემ პარსონსი. მაგრამ ბენეტი, რომელიც იძულებულია აღიაროს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მოლაპარაკების დიდი მნიშვნელობა, იქვე აცხადებს, მომწიფდა საჭიროება, რომ განახლდეს ატომური იარაღის გამოცდა და სავსებით დამთავრდეს ამერიკის ეროვნული თავდაცვის არსენალის შექმნა“.

საგულისხმოა, რომ ძალის პოლიტიკის ეს ქადაგება გაისმა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის პირით. ყველაფერი იმას მოწმობს, რომ პარსონსმა გამოთქვა „ერედო“, რომლითაც ჯერ კიდევ ხელმძღვანელობს ამერიკის დიპლომატია. ასეთი დასკვნა ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ ამერიკის საგარეო პოლიტიკის უკანასკნელი დღეების ზოგიერთ პრაქტიკულ გამოვლინებას.

ამას წინათ, როგორც ცნობილია, სანტ-იაგოში დამთავრდა ლათინური ამერიკის ოცი ქვეყნისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. ამ თათბირზე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლნი „კარიბის ზღვის რაიონში უშიშროებისათვის“ ბრძოლის ალმით ცდილობდნენ გაეყვანათ გადაწყვეტილება კუბის საშინაო საქმეებში ჩარევის შესახებ, კუბისა, რომელიც ეროვნული აღორძინების გზას დაადგა. ამ ცდების მხარი არ დაუჭირეს თათბირის მეტმა წევრმა მონაწილეებმა და ჩაიფუშა. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები ამას არ შეურიგდნენ.

გამოხატავს რა მათ აზრს, გაზეთი „ნიუ-იორკ ჯორნელ ამერიკენი“ გაძლიერებით მოუწოდებს „იბრძოლონ კომუნიზმის წინააღმდეგ კუბაში“ და მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ორგანოებისაგან დაიცვან „ამერიკის ინტერესები ფიდელ კასტროსა და წითლებისაგან“. ცინიკურად აღიარებს რა, რომ „ამერიკის ინტერესებით“ იგულისხმება „იუნაიტედ ფრუტის“ მონოპოლიის ინტერესები, რომელსაც კუბაში აქვს 149 ათასი აკრი შაქრის პლანტაცია, გაზეთი მტკიცედ მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კუბელი ხალხის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ გამოიყენონ მთელი არსენალი იმ ღონისძიებებისა, რომლებიც გამომდინარეობენ ძალის იმ „ნაადი პოლიტიკიდან“, რომელსაც ქებას ასხამს გრეჰემ პარსონსი.

ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრაქტიკული გამოვლინებისათვის დამახასიათებელია ლაოსის უკანასკნელი ამბები. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამასწინანდელ განცხადებაში დამაჯერებლად ნაჩვენებია, რომ საფრთხე, რომელიც ლაოსში შეექმნა მშვიდობას, იმის პირდაპირი შედეგია, რომ ამერიკა ჩაერია ამ ქვეყნის საქმეებში. მიუხედავად ამისა, გარკვეული წრეები ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველნაირად ცდილობენ დაამტკიცონ საწინააღმდეგო. ისინი უსაფუძვლოდ უარყოფენ, რომ ლაოსში არსებობს ამერიკის შეერთებული შტატების „ორგანიზებული“ სამხედრო პერსონალი, და ამტკიცებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ გზავნიან ლაოსში იარაღს. მაგრამ ამ სიყალბეს ამხილებს თვით დასავლეთის პრესა. მაგალითად, ლონდონის გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ „ლაოსის სამეფო არმია, რომელშიც 25 ათასი კაცი შედის, უეჭველია თითქმის მთლიანად ამერიკის დახმარებით არსებობს“.

ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეების წინააღმდეგ ბრძოლა ეროვნული ერთიანობისა და ეროვნული ინდეპენდენტობისათვის, ამერიკელ ხალხთან ერთად, ამერიკელ ინტელიგენტებს, ამერიკელ ჟურნალისტებს, ამერიკელ ფილოსოფოსებს, ამერიკელ ინჟინრებს, ამერიკელ ფერმერებს, ამერიკელ ბანკირებს, ამერიკელ ბიზნესმენებს, ამერიკელ ინდუსტრიულ მუშებს, ამერიკელ ინტელიგენტებს, ამერიკელ ფეხოსანთ, ამერიკელ ინვალიდებს, ამერიკელ ბავშვებს, ამერიკელ ქალებს, ამერიკელ ბებიებს, ამერიკელ ბაბუებს, ამერიკელ ბიბლიოფილებს, ამერიკელ ბიბლიოფობებს, ამერიკელ ბიბლიოგრაფებს, ამერიკელ ბიბლიოტეკარებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებს, ამერიკელ ბიბლიოტეკებიანებ

ამერიკელი „მრჩევლები“: ჩვენ თვალ ყურს ვადევნებთ, რომ ლაოსის საშინაო საქმეებში არავინ ჩაერიოს.

ნახატი ბორ. ეფიმოვისა.

ლაოსის სამეფოს საერთო ხელი

დიდი ოქტომბრის ბრძოლა

დიდ ბრიტანეთი

დისკუსია დასავლეთის ახალი პოლიტიკის შესახებ. — რას მოწმობენ სანტ-იაგოს თათბირი და ლაოსის ამბები. — მუშვიდობიანი თანაარსებობა სასიცოცხლო მოთხოვნილებაა

ამერიკა

„ინდიანა“ ... „ინდიანა“ ... „ინდიანა“

...